საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

გარემოსდაცვით შეფასების დეპარტამენტს

შეზღუდული პასუხისსმგებელი საზოგადოება „ტრანს გაზი“ (ს/კ 404905046)

ელ.ფოსტა. levandevdariani@yahoo.com

ტ. 555 85-20-20 (ლევანი).

სკრინინგის ანგარიში

გაცნობებთ, რომ **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებ „ტრანს გაზი“-ს, ქ. თბილისში, დავით აღმაშენებელის ხეივნის მე-14 კილომეტრი, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 01.72.14.012.878**, გააჩნია ავტოგასამართი სადგური, რომელშიც ავტომობილების გამართვა ხორციელდება ბუნებრივი აირით. წლიურად გათვალისწინებული იყო 9110400 m^3 ბუნებრივი აირით ავტომობილების გამართვა.

ავტოგასამართს სადგურის განთავსების ტერიტორიის GPS კოორდინატებია X=481012.00; Y=4627715.00).

აღნიშნულლ ავტოგასამართ სადგურში ბუნებრივი აირით ავტომანქანების გამართვისათვის გააჩნია ორი ცალი სვეტი, თითეული ორი პისტოლეტი. ასევე ავტოგასამართ სადგურში გააჩნია დაჭირხნული ბუნებრივი აირის რესივერები და კომპრესორი. ასევე ავტოგასამართი სადგური უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით: ადმონისტრაციული შენობით, ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით, დანადგარების დამიწებით და მეხამრიდებით.

აღნიშნული ავტოგასამართ სადგურში რეკონსტრუუქციის შემდგომ დაიგეგმა როგორც თხევადი საწვავით (ბენზინი, დიზელის საწვავი), ასევე გათხევადებული აირით ავტომანქანების გამართვა, რომლისათვის შესაბამისად დაიგეგმა შესაბამისი ნფრასტრუქტურის მოწყობა, კერძოდ:

- თვევადი საწვავით ავტომობილების გამართვისათვის დაიგეგმა 4 ცალი, თითეული 20 m^3 მოცულობის მიწისქვეშა რეზერვუარების განთავსება (ჯამური მოცულობა 80 m^3) და ორი გასამართი სვეტის მოწყობა 8 პისტოლეტით;
- გათხევადებული აირით ავტომობილების გამართვისათვის დაიგეგმა ერთი ცალი 10 m^3 მოცულობის მიწისზედა რეზერვუარის განთავსება თავისი გასამართი სვეტით ორი პისტოლეტით.

აღნიშნული ავტოგასამართი სადგურიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულია 40 მეტრით.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად **შეზღუდული პასუხისსმგებელი საზოგადოება „ტრანს გაზი“-ის** მიერ დაგეგმილი ავტოგასამართი სადგურის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით (თხევადი საწვავისა და გათხევადებული აირის გასამართი სადგურის დამატება) წარმოგიდგენთ

განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასავლელად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

როგორც უკვე აღინიშნა, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს: **ქ. თბილისში, დავით აღმაშენებელის ხეივნის მე-14 კილომეტრი**, **მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 01.72.14.012.878**, რომელიც წარმოადგენს მის კუთვნილ ტერიტორიას. აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს 1005 $м^2$, უკვე მობეტონებული, მოსწორებულ, ასფალტირებულ, გზის პირზე მდებარე მიწის ნაკვრთს.

ზემოთაღნიშნული მიწის ნაკვეთზე გადაწყდა დამატებით თხევადი საწვავით (ბენზინი, დიზელი) და გათხევადებული აირით ავტოგასამართი სადგურების მოწყობა.

შპს "**ტრანს გაზი**"-ის უკვე არსებულ ბ/აირით ავტოგაზგასამართი სადგურის უმთავრესი ფუნქციონალური სტრუქტურული ერთეულებია რეკონსტრუქციის შემდეგ:

1. საოპერატორო;
2. არსებული ფარდული გასაცემი სვეტებით;
3. არსებული საკომპრესორო - 2 ცალი;
4. არსებული საოპერატორო (დროებითი ნაგება);
5. არსებული მოსაცდელი (დროებითი ნაგებობა);
6. ბილბორდი;
7. ნავთობპროდუქტების მიწისქვეშა რეზერვუარები ბეტონის საკორფარგში 4 ცალი;
8. თხევადი გაზის მიწისზედა რეზერვუარის მონობლოკი 10 $м^3$ მოცულობის;
    - დაჭირხნული ბუნებრივი აირით ავტომანქანების დამუხტვის უბანი აირის ჩამოსასხმელი/გამშვები სამი სვეტით (თითოზე ორი "პისტოლეტით"),
    - საკომპრესორო სადგური;
    - თხევადი საწვავის 4 ცალი მიწისქვეშა რეზერვუარი, თითეული 20 $м^3$-ის მოცულობის.
    - თხევადი საწვავის გასამართი სვეტები 2 ცალი, თითეული 8 პისტოლეტით;
    - გათხევადებული აირის რეზერვუარი 10 $м^3$ მოცულობის, გასამართი სვეტი ორი პისტოლეტით.

შპს "**ტრანს გაზი**"-ს ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირება ხორციელდება თანახმად საწარმოს დამტკიცებული წესდებისა, ტექნიკურ-ტექნოლოგიური რეგლამენტაციისა და სხვა სათანადო დირექტიული დოკუმენტაციისა. საწარმოს გააჩნია სახელმწიფო ლიცენზია საქმიანობის განხორციელებაზე, ნებადართული საქმიანობათა ჩამონათვალით, აგრეთვე, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გაცემული სარეგისტრაციო მოწმობა პროდ-უქციაზე შესაბამისობის სერთიფიკატით.

საწარმოს განვითარების პერსპექტივის გათვალისწინებით განზრახული იყო მაქსიმალური სადღე-ღამისო დატვირთვა 24960 $м^3$ ბუნებრივ აირზე, ანუ წელიწადში შესაბამისად 9110400 $м^3$ ბუნებრივ აირზე.

სადგურის რეკონსტრუქციის შემდგომ, საწვავზე მოთხოვნილების ცვლილებებთან დაკავშირებით, დღეში მოხდება 6000 $м^3$ ბუნებრივი აირით ავტომობილების გამართვა,

ხოლო წელიწადში 2190000 $მ^3$-ის, 5 $მ^3$ დღეში ბენზინის საწვავავით, ანუ 1825 $მ^3$/წელ საწვავით გამართვა და 5 $მ^3$ დღეში დიზელის საწვავავით, ანუ 1825 $მ^3$/წელ საწვავით გამართვა. ასევე მოხდება დღეში 3 ტონა გათხევადებული აირით, ანუ წელიწადში 1095 ტონის ოდენობით ავტომობილების გამართვა.

ბუნებრივი საწვავი აირი (რომლის შემადგენლობის 90 %-ზე მეტს მეთანი წარმოადგენს) ბუნებრივი აირით გამართვის უბნის საკომპრესორო სადგურს მიეწოდება საშუალო წნევის (0,2-1,5 $კგ/სმ^2$) მილგაყვანილობიდან, რათა სადგურში ის შემზადდეს (გასუფთავდეს მტვრის და ტენის მინარევების იმ რაოდენობისგან, რაც ავტომანქანის ძრავასთვის დაუშვებელია და, ამასთან ერთად, მას გააჩნდეს ტემპერატურის და წნევის საჭირო მნიშვნელობები). ამ მიზნით, პირველ რიგში, ბუნებრივი საწვავი აირი მიეწოდება მექანიკურ ფილტრს, სადაც ის მტვრის ნაწილაკებისგან იწმინდება, შემდეგ კი ის როტაციული ტიპის აირის მრიცხველის და წმინდა ფილტრის გავლით კომპრესორს მიეწოდება. კომპრესორში შემოსული აირის წნევა გაიზრდება 200 $კგ/სმ^2$ მნიშვნელობამდე, ხუთ საფეხურად აირის მიმდევრობითი დაჭირხვნის შედეგად. შეკუმშვის ყოველი საფეხურის ბოლოს აირს თბომცვლელში აერთმევა შეკუმშვისას გამოყოფილი (შინაგანი ენერგიის გაზრდის შედეგად) სითბო და შეკუმშვის ყოველ შემდგომ საფეხურს მიეწოდება ამგვარად გაგრილებული აირი. შეკუმშვის მეხუთე საფეხურის ბოლოს აირის წნევა ხდება 200 $კგ/სმ^2$ და ის, გასაცემად შემზადების მიზნით, თბომცვლელში გავლით გრილდება გარემოს ტემპერატურამდე. ამის შემდეგ აირი მიეწოდება მექანიკურ ტენგამცლელს, სადაც ხდება მისგან წვეთოვანი ტენის მოცილება. აქ დამუშავებული აირი შემდეგ მიეწოდება ადსორბციულ ტენგამცლელს, სადაც ადსორბენტის მიერ აიროვანი ფაზიდან წყლის ორთქლის შთქანთქმის შედეგად აირის ტენშეცულობა მცირდება მის ნორმალურად დასაშვებ მნიშვნელო-ბამდე ($C_{H2O} \leq 9$ $მგ/ნმ^3$). ამრიგად დამუშავებული ბუნებრივი საწვავი აირი მიეწოდება ავტომანქანის საწვავი აირით გაწყობა-გამართვის სვეტს; თუ ამ დროს აქ არ არის საწვავი აირის მიმღებად გამზადებული ავტომანქანა, მაშინ ავტომანქანებისთვის გასაცემად უკვე დამუშავებული საწვავი აირი დროებით შესანახად მიეწოდება აირის მაღალი წნევის საცავს (ე.წ. რესივერებს), რომელშიც დროებით შენახული საწვავი აირი მოთხოვნილებისამებრ გამოიყენება შემდგომ შემოსულ ავტომანქანათა აირით გაწყობა-გამართვისთვის.

ავტომანქანათა გაწყობა-გამართვა ხდება შემდეგნაირად:

საწვავ აირზე მომუშავე ავტომანქანა საწვავი აირით გაწყობა-გამართვისთვის დგება ბუნებრივი აირით გამართვის უბნის საკომპრესორო სადგურის გაწყობა-გამართვის სვეტთან; ამ სვეტის "პისტოლეტი" უერთდება ავტომანქანაზე დამონტაჟებულ აირმიმღები სისტემის სპეციალურ კვანძს, იხსნება ავტომანქანაზე დამონტაჟებული აირმიმღები სისტემის ვენტილი, შემდეგ კი გაწყობა-გამართვის სვეტზე დამონტაჟებული აირის მიმწოდებელი ვენტილი, რის შემდეგაც იწყება ავტომანქანის გაწყობა-გამართვა - მისი აირის ბალონების შევსება საწვავი აირით; როგორც კი აირის წნევა ავტომანქანის აირის მიმღებ ბალონებში გახდება 200 $კგ/სმ^2$-ის ტოლი, იკეტება გაწყობა-გამართვის სვეტზე არსებული მიმწოდი ვენტილი.

ავტოგასამართ სადგურზე იგეგმება სხვადასხვა ოქტანობის თხევადი საწვავის (ბენზინი, დიზელი) რეალიზაცია.

აღნიშნული გასაცემი სვეტები განთავებული იქნება ტერიტორიაზე, რომელზედაც მოწყობილია ბეტონის საფარი და წყალშემკრები დრენაჟი (ფარდულის ქვეშ) სადაც არ

ხვდება წვიმის წყალი, რომ არ მოხდეს შემთხვევით დაღვრილი საწვავის პირდაპირი სახით ბუნებაში მოხვედრა.

საწვავმარიგებელი სვეტები პროექტის მიხედვით დამონტაჟებული იქნება ზემოდან დახურულ ტერიტორიაზე, რომელიც დაკავშირებლი იქნება თანამედროვე პლასტიკის მილებით საწვავის ავზთან.

გზის გასწვრივ განთავსდება ფასმაჩვენებელი დაფა ელ.სანათებით.

თხევადი საწვავის მიღება პროექტით დაგეგმილია ავტოცისტერნის საშუალებით, რომელიც უნდა დაერთდეს ტერიტორიაზე განთავსებულ ჩამსხმელ დგარზე.

რეზერვუარი განთავსებულინ იქნება მიწის ქვემოთ. მათი „სასუნთქი სარქველები"-ს სიმაღლე H=3.0 მ და დიამეტრი D=0.05 მ. რეზერვუარი დაფარული იქნება ანტიკოროზიული ნივთიერებებით.

ავტოგასამართი სადგური გათვალისწინებული იქნეა ასევე ბენზინისა და დიზელის საწვავის მომხმარებელზე რეალიზაციისათვის, რომლის წლიური მაქსიმალური ჯამური რაოდენობა მოსალოდნელია 3650 $მ^3$ ოდენობით, საიდანაც 1825 $მ^3$ დიზელის საწვავი და 1825 $მ^3$ ბენზინის საწვავი.

საწარმო საწვავს მიიღებს ავტოცისტერნების საშუალებით და გადაიტანს მას მიწისქვეშა რეზერვუარებში.

რეზერვუარებიდან საწვავი მიეწოდება ავტოგასამართ სვეტებს, საიდანაც ხდება მისი ავტომანქანების ბაკებში (ავზებში) გადასხმა.

ავტოგასამართი სადგურის სატრანსპორტო სქემა უზრუნველყოფს, მსუბუქი, სატვირთო და სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებათა შეუფერხებელ გადაადგილებას და ერთდროულად მომსახურებას ისევე როგორც სანაპიროზე მოძრავი ტრანსპორტის შეუფერხებლად ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე შესვლადს და გამოსვლას.

თხევადი საწვავის დღიური რეალიზაცია იგეგმება 3 ტონის ოდენობით, ანუ წლიურად 1095 ტონის ოდენობით. თხევადი გაზი ასევე შემოტანილი იქნება სპეციალური ავტოცისტერნების საშუალებით, გადაიტანება 10 $მ^3$ მოცულობის მიწისზედა რეზერვუარში და შემდგომ მოხდება ავტომობილების გამართვა თხევადი გაზით, ასევე შესაძლებელია მისი გაცემა ბალონებში საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის მოსახლეობაზე.

ტერიტორიაზე დაყენებულია მეხამრიდი, რომელიც ფარავს საოპერატორო შენობას და ფარდულს თავისი მოქმედების არეალით. აღსანიშნავია, რომ საწვავის მიღებისას უნდა მოხდეს ავტოცისტერნის დაერთება დამიწების ჭანჭიკზე და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყოს საწვავის მიღების პროცესი. პროექტის მიხედვით დამიწებული უნდა იყოს ფარდული, სარეზერვუარო პარკი და საოპერატორო შენობაში განთავსებული ცენტრალური მართვის კარადა.

ტერიტორიაზე უკვე გაყვანილია წყალმომარაგებისა და კანალიზაციის შიდა სისტემა, რომელიც მიერთებულია ქ. თბილისის საკანალიზაციო სისტემაზე.

წყლის მომარაგება განხორციელდება ქ. თბილისის წყალმომარაგების სისტემიდან, ხოლო შიდა საკანალიზაციო ქსელი ასევე მიერთებული იქნება ქ, თბილისის საკანალიზაციო სისტემაზე.

აღნიშნული სადგური აღჭურვილია ცეცხლმაქრებით, ნაგვის ურნები დასტიკეტებული სხვადასხვა ნარჩენებისთვის ინდივიდუალურად, განთავსდება სახანძრო ინვენტარი და სხვა დღევანდელი კანონმდებლობით მოთხოვნილი სავალდებულო საშუალებები.

საწარმოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, უკვე არსებულ ავტოგასამართი სადგურიდან გათხევადებული აირის მიღება-გაცემისას ადგილი აქვს მეთანისა და ეთიმერკაპტანების გაფრქვევას, ხოლო დაგეგმილი თხევადი საწვავით (ბენზინი, დიზელი) გამართვისას ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადები (ბენზინისა და დიზელის საწვავის ორთქლი).

რეკონსტრუქციის შემდგომ დამატებით საწარმოს უბნებზე მოხდება ახალი სახის მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ შემდგომ გაფრქვევას ატმოსფეროში, კერძოდ გათხევადებული აირის მიღება-გაცემისას ატმოსფერულ ჰაერში ადგილი ექნება ეთიმერკაპტანებისა და მეთანისა, ასევე ბუთანისა და პროპანის გაფრქვევას.

ქვემოთ ცხრილ-1-ში მოცემულია ავტოგასამართი სადგურიდან მოსალოდნელი გაფრქვევის მავნე ნივთიერებების კოდი, ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების მნიშვნელობები და საშიშროების კლასი.

ცხრილი 1.

მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები

#	მავნე ნივთიერების დასახელება	კოდი	ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია(ზდკ) მგ/მ³		საშიშროების კლასი
			მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო დღეღამური	
1	2	3	4	5	8
1	მეთანი	336	50	-	4
2.	ეთილმერკაპტანი	057	0.00003	-	1
3.	ბუთანი	89	200	-	4
4.	პროპანი	489	50.0	-	-
5.	ბენზინის ორთქლი	311	5	-	4
6.	დიზელის საწვავის ორთქლი	314	1		4

\აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ავტოგასამართი სადგურიდან მავნე ნივთიერებების გაფრქვევების ინტენსივობების მაქსიმალური წამური მნიშვნელობები მიიღება საწვავის მიღებისას და ავტომობილების გამართვისას. თუ გავითვალისწინებთ, რომ საწვავის ავტოცისტერნებში მიღებისას არ ხდება ავტომანქანების გამართვა, ის მნიშვნელოვნად შეამცირებს გაფრქვევების წამურ ინტენსივობებს.

ავტოგასამართი სადგურის რეკონსტრუქციამდე და რეკონსტრუქციის შემდგომ ფუნქციონირებისას წყალი საწარმოო მიზნებისათვის არ გამოიყენება, წყალი გამოიყენება მხოლოდ საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის და სახანძრო მიზნებისათვის. წყლის აღება განხორციელდება ქ, თბილისის წყალმომარაგების სისტემიდან და მათი ჩაშვება განხორციელდება ქ. თბილისის საკანალიზაციო სისტემაში.

რადგან თხევადი საწვავით გასამართი ავტოგასამართი სვეტები განთავსებული იქნება ზემოდან დახურული ფარდულის ტიპის შენობაში, ამიტომ სანიაღვრე წყლების დაბინძურების რისკი ნავთობპროდუქტებით არ არსებობს.

საწარმოს მუშაობის პროცესში ხმაურის გავრცელების დონეების გადაჭარბება არ არის მოსალოდნელი, რადგან ავტოგასამართი სადგურის სპეციფიკიდან გამომდინარე არ იგეგმება მაღალი ხმაურის დონის გამომწვევი დანაგარის ქონა.

დაგეგმილი ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში არ ფიქსირდება მრავალწლიანი მცენარეული სახეობები, მით უმეტეს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობები. ტერიტორია მოასფალტებულია. ასევე არ ფიქსირდება ცხოველთა სახეობები.

ავტოგასამართი სადგურის რეკონსტრუქციის მშენებლობის პერიოდში მიწის სამუშაოების წარმოებისას ნაყოფიერი ფენის არსებობის შემთხვევაში მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა სრული კანონმდებლობის დაცვით დასაწყოვებული იქნება საწარმოო ტერიტორიაზე.

ავტოგასამართ სადგურში ძირითადად დასაქმებულია ადგილობრივი მოსახლეობა. ავტოგასამართი სადგურის რეკონსტრუქციის შემდეგ იგეგმება 13 ადამიანის დასაქმება. რაც შეეხება ქალაქის დემოგრაფიულ ცვლილებებს, ისინი არ გამოიწვევენ.

საწარმოს საქმიანობა დადებით გავლენას მოახდენს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე.

საწარმოს ტერიტორიაზე მიწის სამუშაოების შესრულების პროცესში არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეიბის ძეგლის არსებობის ნიშნების ან მათი რაიმე სახით გამოვლინების შემთხვევაში დამკვეთის მოთხოვნით სამუშაოთა მწარმოებელი ვალდებულია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად შეწყვიტოს სამუშაოები და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს.

ავტოგასამართი სადგურის მშენებლობისას და ფუნქციონირებისას რაიმე სახის ბუნებრივი რესურსები არ იქნება გამოყენებული, გარდა უმნიშვნელო რაოდენობის ინერტული მასალისა, რომელიც გამოყენებული იქნება რეზერვუარის მიწისქვეშ განთავსებისას.

საქმიანობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის შემოგარენში ასევე მის სიახლოვეს არ არის ჭარბტენიანი ტერიტორიები, ამდენად მასზე ზეგავლენა არ არის მოსალოდნელი.

საქმიანობის სპეციპიკის, მასშტაბის და ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, რაიმე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ავტოგასამართი სადგურისათის განკუთვნილი ტერიტორია დაცული ტერიტორიებიდან დიდი მანძილითაა დაშორებული და აქედან გამომდინარე ბუნებრივია სანიაღვრე გამწმენდი დანადგარის შეცვლა ვერ მოახდენს რაიმე უარყოფით გავლენას დაცულ ტერიტორიებზე;

განთავსების ტერიტორიის სიახლოვეს არ არის მიწისზედა ძეგლები (ისტორიული მნიშვნელობის აქტივები ან ნაგებობები). ასევე ბუნებრივია სანიაღვრე გამწმენდი დანადგარის შცვლა ვერ გამოიწვევს რაიმე უარყოფით ზეგავლენას მასზე.

ავტოგასამართი სადგურის მშენებლობისას მოსალოდნელია უმნიშვნელო რაოდენობით საამშენელო მასალების წარმოქმნა ნარჩენების სახით, ხოლო ოპერირებისას მოსალოდნელია პრაქტიკულად მხოლოდ საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა

(წელიწადში 9.49 $м^3$-ის ოდენობით), ასევე რაიმე სახის სახიფათო ნარჩენების წარმოქმნის შემთხვევაში (ნავთობპროდუქტებით დაბინძურებულ ჩვრები და სხვა) მათი მართვა განხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული სრული მოთხოვნების გათვალისწინებით, კერძოდ მათი დროებითი განთავსება, ტრანსპორტირება და გადაცემა შესაბამისი ნებართვების მქონე ორგანიზაციებზე.

ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას კუმულაციური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი, რადგან მის სიახლოვეს ანალოგიური ტიპის ავტოგასამართი სადგური არ არის.

ასევე გარემოს სხვა კომპონენტებზე ზემოქმედების თვალსაზრისით არავითარი ცვლილებები არ განხორციელდება.

ავტოგასამართი სადგურის ოპერირებისას ავარიული სახით შესაძლებელია მოხდეს თხევადი საწვავის გაცემისას მათი დაღვრა. ავტოგასამაღი სადგურის გასაცემი სვეტების მოედანის გარე პერიმეტრი მოწყობილია არხებით, რომელიც შეერთებული მიწისქვშა ავზთან, სადაც დაღვრის შემთხვევაში ისინი მოხვდებიან. ამით აცილებული იქნება მათი გარემოში მოხვედრა და გარემოს დაბინძურება. აღნიშნული დაღვრილი ნავთობპროდუქტების რეზერვუარში დალექვის შემდეგ. ისინი ამოღებული იქნება, ხოლო დარჩენილი ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული შლამი განთავსდება კონტეინერში და შემდგომ უტილიზაციაზე გადაეცემა ისეთ ორგანიზაციას, რომელსაც გააჩნიათ შესაბამისი ნებართვა. ასევე სახანძრო უსაფრთხოებიშ მიზნით დამონტაჟებული იქნება სახანძრო დაფები ცეცხლმაქრებით.

დანართი 1. ავტოგასამართი სადგურის გენ-გეგმა



დანართი 2. ტერიტორიის სიტუაციური ტოპოგრაფული რუკა.



დანართი 3. მიწის ნაკვეთის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

მიწის (ფერადი ქონების) საკადასტრო კოდი N 01.72.14.012.878

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია	მომზადების თარიღი
N 892018289773 - 05/04/2018 12:16:06	12/04/2018 16:28:27

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი			
01	72	14	012/878

მისამართი: ქალაქი თბილისი , ლავით აღმაშენებლის ხეივანი , მე-14 კილომეტრი ; ქალაქი თბილისი , ლ. აღმშენებლის ხეივანი მე-14 კმ.

ნაკვეთის საკუთრების ტიპი:საკუთრება

ნაკვეთის ლანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო

ლამუსტებული ფართობი: 1005.00 კვ.მ.

ნაკვეთის წინა ნომერი:01.72.14.012.863; 01.72.14.012.583;

შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი:N1, N2, N3, N4

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 892018194085 , თარიღი 07/03/2018 12:44:15
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 14/03/2018

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:30/04/2012 , საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- საკუთრების მოწმობა N25679 , დამოწმების თარიღი:06/03/2018 , ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქონების მართვის სააგენტო

მესაკუთრეები:
შპს "გრანს ვაში" , ID ნომერი:404905046

მესაკუთრე:
შპს "გრანს ვაში"

აღწერა:

იპოთეკა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882012187682 თარიღი 02/05/2012 16:02:20	იპოთეკარი: სააქციო საზოგადოება ბანკი "რესპუბლიკა"; მესაკუთრე: შპს "გრანს ვაში" 404905046;
	საგანი:მიწის ნაკვეთის ფართობი:781.00 კვ.მ. მასზე მდგომი შენობა-ნაგებობებით;
	იპოთეკის ხელშეკრულება N742789-2, დამოწმების თარიღი02/05/2012, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ,
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 03/05/2012	

საგადასახადო კირაგნობა:

რეგისტრირებული არ არის

დანართი 4. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B20010439, 03/02/2020 10:29:03

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ტრანს გაზი
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	404905046
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	21/07/2011
მარეგისტრირებელი ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, გამრეკელის ქ., №19, სართ.IV, ოფისი 20

დამატებითი ინფორმაცია:

ელ. ფოსტა: levandevdariani@yahoo.com

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - დავით ჩახტაური, 01011023976

პარტნიორები